უმგზავლი, მინდია ჩაჩქსელიანის ფოტო

2022 წელი, №1 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

ჰემოდიალიზის სერვისი დაბა მესტიაში

2 მაისს, მესტიის საავადმყოფოში, ბენეფიციარებმა პირველად ისარგებლეს ჰემოდიალიზის სერვისით.

წარსულს ჩაბარდება დრო, როდესაც ჰემოდიალიზისთვის ადგილობრივ პაციენტებს მინიმუმ 140 კილომეტრის გავლა და ზუგდიდში მკურნალობა უწევდათ.

საქართველოს დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ზურაბ აზარაშვილის ინიციატივით, სამედიცინო ჰოლდინგის დირექტორის, ჯაბა სირბილაძის, ადგილობრივი თვითმართველობის ძალისხმევით, პრობლემა უკვე გადაჭრილია.

დასაწყისისთვის, პაციენტებს მოემსახურებიან მოწვეული კადრები - ორი ნეფროლოგი და ორი ექთანი.

პარალელურად მოხდება ადგილობრივი კადრების გადამზადება (შერჩეულია 2 ექიმი და 2 ექთანი), რის შემდეგაც მათ უფლება მიეცემათ ადგილზე მოემსახურონ დიალიზით მოსარგებლე პაციენტებს.

მესტიის მუნიციპალიტეტის სახელით მადლობას ვუხდით დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომელმაც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმის განხორციელებისთვის. აღნიშნული სერვისები „დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში იხსნება, რომელსაც ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ახორციელებს. პროგრამა ახალი დანერგილია და მისი მიზანია თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

სოფლის მხარაჭერის პროგრამა - 2022 წელი

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მესტიის უნიციპალიტეტისთვის სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, 2022 წელს, განსაზღვრულმა თანხამ 1 574 000 ლარი შეადგინა (157 სოფელი).

მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ პროგრამით გამოყოფილი თანხა სრულად ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტის დასრულებას და ექსპლუატაციაში გაშვებას, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, იყენებს დისკრეციულ უფლებამოსილებას და კონკრეტულ შემთხვევებში, საჭიროებისამებრ, ამატებს თანხას არაუმეტეს 10 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში 700 000 ლარი განისაზღვრა.

პროგრამის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობის ინფორმირება, რის შემდეგაც, მუნიციპალიტეტის ყველა (გარდა დაბა მესტიისა) ადმინისტრაციული ერთეულის თითოეულ სოფელში, საგანგებოდ მოწვეულმა დასახლების საერთო კრებამ, საჭიროებების მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება და შეარჩია თუ რა კონკრეტული პროექტის განხორციელებას უნდა მოხმარდეს „სოფლის“ თანხა.

დასახლების საერთო კრებები მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, მიმდინარე წლის მარტის თვეში ჩატარდა. ამ ეტაპზე, შერჩეულ პროექტებზე მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები.

თანხის განაწილება მოხდა სოფლის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით და მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლისთვის (გარდა იდლიანისა და იენაშისა: 12 000/12 000 ლარი) შეადგინა 10 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული იყო კატეგორიები, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის მიერ შეირჩა განსახორციელებელი პროექტები: განსახორციელებელი პროექტების 30 % გარე განათების მოწყობას შეადგენს, 26 % - შიდა გზების რეაბილიტაციას/სასოფლო სავარგულებამდე მისასვლელი ახალი გზების მოწყობას შეადგენს, სასმელი წყლის სისტემები შერჩეული პროექტების 16 %-ია, ხოლო დანარჩენი გადაწყვეტილებები წარმოადგენს „სპორტული ინფრასტრუქტურა“, „სასაფლაოების შემოღობვა“, „ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები და გადასასვლელები“, „სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით“, „წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი“, „ნაპირსამაგრი სამუშაოები“, „სანიაღვრე არხები“ და „თავშეყრის ადგილები და მოსაცდელების“ კატეგორიებს.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სოფლების ჩამონათვალში, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან დაფინანსება განსაზღვრული არ იყო მესტიის 2 დაუსახლებელი სოფლისთვის: აგრაი (კალა) და ჩუბარი (ნაკრა). ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შუამდგომლობით, წელს, სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აღიშნულ სოფლებზე პირველად განისაზღვრა დაფინანსება 10 000 - 10 000 ლარის ოდენობით.

გადასახური მასალით დახმარების განახლებული მუნიციპალური პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტში, არსებული ან ახალაშენებული შენობა-ნაგებობების გადასახური მასალით დახმარების განახლებული პროგრამა დამტკიცდა.

პროგრამა ითვალისწინებს არსებული საცხოვრებელი სახლების, სვანური საცხოვრებელი სახლების (მაჩუბი), სასაქონლე შენობებისა და სვანური კოშკების ავარიული სახურავების რეაბილიტაციას, აგრეთვე ახალაშენებული შენობების, მათ შორის კომერციული ფართების

გადასახური მასალით (თუნუქი, ყავარი) დახმარებას.

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე მოქალაქემ, მერიაში საკითხის შესწავლის მიზნით უნდა წარმოადგინოს:

- განცხადება მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის სახელზე;
- მერის წარმომადგენლის (რწმუნებულის) მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის აღდგენის ან/და მშენებლობის მიმდინარეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გადასახურად გამზადებული ან დაზიანებული შენობა-ნაგებობის, როგორც შენობის გარე ფასადების (ოთხივე მხრიდან), ასევე გადასახურად გამზადებული ხის კონსტრუქციის ფოტოსურათები;

მოქალაქეებზე გადასახური მასალა გაიცემა სრულყოფილი დოკუმენტაციისა და დადგენილებაში აღწერილი სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: +995 595 70 81 51.

მასალა გაიცემა მესტიის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ (მისამართი: რაშიბ ნაკანის ქ. N7, დ.მესტია) მიღება-ჩაბარების წესით.

ფსახელო მწვეხვაღს ავთანდიღ იოსელიანის სახელი მიენიჭა

მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს აფხაზეთის ომის მონაწილის, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის - ავთანდილ იოსელიანის სახელი მიენიჭა.

ავთანდილ იოსელიანი 1992 წელს, 40 წლის ასაკში დაიღუპა აფხაზეთის ომში - იგი გმირულად შეეწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. განსაკუთრებული დამსახურებებისთვის ერის და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე, ავთანდილ იოსელიანს მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის სტატუსი.

ომის ვეტერანთა საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი განცხადების საფუძველზე, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით, საკრებულომ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მიიღო განკარგულება (Nგ-135.135220904; 31/03/2022 წ.) მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: X-324021; Y-4772878) მიენიჭოს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, საქართველოს ეროვნული გმირის „ავთანდილ იოსელიანის“ სახელი.

მესტიის მუნიციპალიტეტი კონკურსის ,,სუფთა რეგიონი 2021“-ის გამარჯვებულია

მესტიის მუნიციპალიტეტი კონკურსის „სუფთა რეგიონი 2021„-ის გამარჯვებულია!

რეგიონების დაჯილდოების ცერემონიალზე მესტია ყველაზე სუფთა დაბად დასახელდა. მესტიის მუნიციპალიტეტის მერმა კაპიტონ ჟორჟოლიანმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მაიზერ ჯაფარიძემ, აიაპ „მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურს“ მიღებული ჯილდო გადასცეს.

პროექტი განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შვედეთის მთავრობის ხელშეწყობით.

საქველმოქმედო საღამო - „მესტია უკრაინელი დედებისთვის“

10 მაისს, დაბა მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, საქართველოს ქალთა საბჭოს მესტიის ორგანიზაციის მიერ ინიცირებული და ორგანიზებული საქველმოქმედო საღამო „მესტია - უკრაინელი დედებისთვის“ გაიმართა.

„დღეს, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ისე, ჩვენი ორგანიზაციის ყურადღება მიმართულია აღნიშნული მოვლენებისადმი, რომლის ფონზე, განსაკუთრებით მწვავედ დგას ქალთა და ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობისა და სისასტიკის დაუყოვნებელი აღკვეთისა და შესაძლებლობის ფარგლებში თანადგომის საკითხი. ჩაგრულის მიმართ თანაგრძნობა და თანადგომა ხომ, ჩვენთვის უცხო არასოდეს ყოფილა, რაც უნდა საკუთარი სატკივარი გვქონოდა. სწორედ, ამ თვისებიდან გამომდინარე აღნიშნული საქველმოქმედო ღონისძიების ყველა მხარდამჭერმა და მონაწილემ, უყოყმანოდ და თავდაუზოგავად იშრომა შედეგისთვის, რომელიც მივიღეთ. შედეგი კი ხალხის მადლიერება და სიყვარული იყო. სწორედ ამიტომ, საქართველოს ქალთა საბჭომ

მადლიერების სიგელებით დაჯილდოვა მხარდაჭერისა და მონაწილეობისათვის:

- მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო
- მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
- მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი
- მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
- მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
- ქალთა ტრიო „ირინოლა“
- ფოლკლორული ანსამბლი „რიჰო“
- ფოლკლორული ანსამბლი „ნენსკრა“
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბანგურიანი“
- ელექტრონული საინფორმაციო წყარო „სვანეთინიუსი“
- მესტიელი მხატვარი, არჩილ გვარლიანი
- კალიგრაფი და ანბანური მხტვრობის ოსტატი ჭუბერის თემიდან, ლილე ჩხეტიანი
- მოქალაქე, ლია ნავერიანი
- მოქალაქე, თამარ უდესიანი
- საქართველოს ქალთა საბჭოს მადლიერების სიგელები გადაეცემათ აგრეთვე:
- მესტიელ მხატვარს - გოგა კახბერიძეს, საქველმოქმედო გამოფენაში მონაწილეობისთვის;

- კალას თემის მკვიდრ, ახალგაზრდა მხატვარს - მეგი პირველს, საქველმოქმედო გამოფენაში მონაწილეობისთვის;

მიხეილ ხერგიანის სახელობის, მესტიის #2 საჯარო სკოლას - საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობსთვის.

საქველმოქმედო საღამოს ესწრებოდნენ, უკრაინიდან დევნილი დედა-შვილები, რომელთაც ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთები უკრაინელი დედის დღეს (რომელიც მოძრავი დღესასწაულია და წელს დაემთხვა 8 მაისს) გადაეცათ.

განსაკუთრებული მადლობა კი, გვინდა გადავუხადოთ:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პატარებს, მათ მშობლებსა და აღმზრდელებს;

მუნიციპალიტეტის შემდეგ სკოლებს, თემატური ნამუშევრებისა და მათ საფუძველზე ვიდეორგოლების გადმოგზავნისათვის: დ. მესტიის #2, დ. მესტიის #3, ლენჯერის #1, ლატალის, ბეჩოს, მაზერის, ცხუმარის, ფარის, ლახამულას, ჭუბერის, ყარ-სგურიშის, იდლიანის, მულახის, იელის, იფარის, კალას, უშგულის, ლენჯერის #2 საჯარო სკოლებსა და დაბა მესტიის წმ. ილარიონ ქართველის სახელობის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას.

ორგანიზაცია, განსაცდელში მყოფ უკრაინელ ხალხს უსურვებს მშვიდობას და საკუთარ მიწა-წყალზე, საკუთარ ოჯახებში დროულად დაბრუნებას.“

საქართველოს ქალთა საბჭოს
მესტიის ორგანიზაცია

ექიმების და ექთნების საერთაშორისო დღე მესტიაში

მოგეხსენებათ, რომ 12 მაისს, ექთნების საერთაშორისო დღე აღინიშნება, რომელიც დადგინდა ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN)-ის მიერ ფლორენს ნაითელინგის პატივსაცემად, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ექთნის, როგორც პროფესიის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

წელს მესტიის მუნიციპალიტეტში ექთნებისადმი მიძღვნილი მადლიერების დღე განსაკუთრებული პატივით აღინიშნა.

ღონისძიება ჩატარდა მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, სადაც მთელი სვანეთის სამედიცინო პერსონალი და უამრავი მადლიერი ადამიანი შეიკრიბა.

ღონისძიების წამყვანი გახლდათ, სოფელ ხოჯორნის სომხურ-აზერბაიჯანული საჯარო სკოლის კონსულტანტ-მასწავლებელი, ქალბატონი, ლალი მარგიანი.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმრთა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრემ, მაიზერ ჯაფარიძემ, რომელმაც განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა სვანეთის სამედიცინო პერსონალის მიმართ.

კოლეგებს პროფესიული დღე მიულოცეს მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიული გადრთიანების დირექტორმა, თენგიზ ჩართოლანმა; ექიმებმა: ქალბატონმა ლილი ჯაფარიძემ, ნათია გურჩიანმა, სვეტლანა ნავერიანმა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დირექტორმა, ქალბატონმა ნია ბჟალავამ.

დამსწრე საზოგადოებიდან სიტყვით გამოვიდნენ ბატონი ივერი ჭელიძე, ქალბატონები: ელენე განაია, ირმა ჯაჭვლიანი, მარიჯან ჭკადუა, ნანა ნიჟარაძე, ფარის საჯარო სკოლის პედაგოგი, ეკატერინე წულუკიძე და ლახამულის სკოლის დირექტორი, ნაზი ჭიღლაძე.

მათ ასევე გაიხსენეს და პატივი მიაგეს გარდაცვლილი ღვაწლმოსილი ექიმების და ექთნების ხსოვნას, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ადამიანების სიცოცხლის სადარაჯოზე იდგნენ. ფასდაუდებელია მათი ღვაწლი სვანეთის საზოგადოების წინაშე.

ამ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ღონისძიებას ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ბატონი ავთანდილ ჭკადუას და ქლბატონი ნინელი ეჯიბაძის ოჯახმა, მათი გარდაცვლილი შვილის, ირაკლი ჭკადუას სახელობის ფონდ „რეი„-სთან ერთად, რომელიც ოჯახის თაოსნობით სულ ახლახანს დაარსდა.

ირაკლი სამწუხაროდ უდროოდ გამოაკლდა სვანეთის საზოგადოებას. ის იყო უაღრესად კეთილშობილი და მრავალი ღირსებით შემკული პერსპექტიული ახალგაზრდა, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე გაკეთებული უამრავი კეთილი საქმით და ქველმოქმედებით შეძლო უკვდავეყო მისი სახელი.

ირაკლი წლების მანძილზე ოჯახთან, მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად ჩართული იყო სვანეთის წინსვლისა და კეთილდღეობისთვის წამოწყებულ არაერთ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჰქონდა ძალიან ბევრი კეთილი ჩანაფიქრი, რომლის განხორციელებაც სამწუხაროდ არ დასცალდა. თუმცა, მისი სახელობის ფონდის „რეი„-ს ინიციატივით და მხარდაჭერით ყველა მის იდეას და ჩანაფიქრს ოჯახი აუცილებლად განახორციელებს.

ფონდი განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებს სვანეთის ახალგაზრდა თაობის ნიჭიერების წარმოჩენას, მათ წინსვლას და წარმატებას.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა ტრიო „ირინოლა“ ქალბატონი, იამზე ფილფანის ხელმძღვანელობით და მომღერალი, დავით ნავერიანი.

ღონისძიების დასასრულს, იდეის ავტორმა, ლახამულას საექიმო ამბულატორიის მედდამ, ქალბატონმა, ნინელი ეჯიბაძემ, მადლობა გადაუხადა კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას მხარდაჭერისთვის, ირაკლის ხსოვნის პატივისცემისთვის და ისაუბრა ფონდის სამომავლო გეგმების შესახებ. ასევე ირაკლი დამ, ქალბატონმა სოფო ჭკადუამ, სპეციალურად ამ დღისთვის დაწესებული სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მესტიის საავადმყოფოს ამბულატორიული გაერთიანების დირექტორს, თენგიზ ჩართოლანს, მესტიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელს, ნია ბჟალავას, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების მესტიის რაიონული სამსახურის ხელმძღვანელს, ელისო ზურებიანს.

ფონდის მიერ დაწესებული ფულადი ჯილდოები გადაეცა უხუცეს ექიმს, ქალბატონ ლილი ჯაფარიძეს, უხუცეს ექთანს, ქალბატონ ქეთო ფალიანს და ქალბატონ, ნინელი ეჯიბაძის ფავორიტს, წვირმის საექიმო ამბულატორიის ტერიტორიული ერთეულის სოფელ იელის მედდას, მაია თირქიას.

ღონისძიება დასრულდა უგემრიელესი „ფურშეტით“, რომელიც მოამზადა მესტიის პროფესიულმა კოლეჯმა „თეთნულდი“.

სვანეთი პროექტს HIAGHLANDER უმასპინძლებს

პირველად საქართველოში პროექტი - HIGHLANDER - მთამსვლელებისა და უბრალოდ ლაშქრობის მოყვარულთათვის გაიმართება.

19 მაისს, მესტიაში, სასტუმრო "Old House Mestia"-ში, HIGHLANDER Georgia-მ გაცნობითი ღონისძიება გამართა. პრეზენტაციას, მედიის წარმომადგენლებთან ერთად HIGHLANDER ADVENTURE-ის პროექტის თანადამფუძნებელი და ოპერაციების დირექტორი, ივან ზრინუსიჩი, სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის წარმომადგენლები და კეთილი ნების ელჩები დაესწრენ.

15 ქვეყანა, 30 განსხვავებული ლოკაცია და ათასობით მონაწილე - HIGHLANDER გრძელ დისტანციაზე ლაშქრობის გლობალური სერიის ღონისძიებას წარმოადგენს, რომელშიც წელს პირველად საქართველო ჩაერთვება და ადგილობრივ თუ საერთაშორისო სტუმრებს სვანეთში, მესტიაში უმასპინძლებს.

პროექტის მიზანია ლაშქრობის, როგორც ცხოვრების წესის პოპულარიზება, რეგიონში ეკომეგობრული და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიების გამართვაა. „ჰაილენდერი“ შეჯიბრება არ არის. ყველა მონაწილე, რომელიც წინასწარ განსაზღვრულ მარშრუტს გაივლის, ჰაილენდერის სტატუსს მოიპოვებს.

25-27 აგვისტოს, საქართველოში პროექტი ორი ფორმატით გაიმართება: HIGHLANDEREXPERIENCE-ისა და HIGHLANDER55-ის - ერთი და სამდღიანი მარშრუტები.

სვანეთის მთები, უნიკალური ბუნება, ადგილობრივი კულტურა და ადამიანები - HIGHLANDER მხოლოდ ფიზიკურ დატვირთვასა და გრძელ დისტანციაზე ლაშქრობას არ გულისხმობს, პროექტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება, საერთაშორისო მასშტაბის, ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი პოტენციალის სწორად წარმოჩენა გახლავთ.

HIGHLANDERGeorgia ხორციელდება ევროკავშირის, შვედეთისა და ავსტრიის ხელშეწყობით, პროექტ GRETA-ს ფარგლებში. პროექტის პარტნიორები აგრეთვე არიან საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სვანეთის ადგილის მართვის ორგანიზაცია „შან-ლენდი“ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერია.

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს:
https://highlanderadventure.com/svaneti/en-us

მოჭადრაკე ვუნდერკინდი სვანეთიდან

საქართველოს ჭადრაკის ჩემპიონატზე, 14 წლამდე ასაკის მოზარდთა შორის, პირველად იასპარეზა მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა.

კალას ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლემ, გიორგი მარგველანმა აღნიშნულ ტურნირზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა! ნორჩი მოჭადრაკე ქართველ ჩემპიონთა გუნდის წევრმა, ნანა იოსელიანმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, გიორგი გიორგაძემ დააჯილდოვეს.

კალას საჯარო სკოლამ, გიორგი მარგველანს საზეიმო შეხვედრა მოუწყო და მას I ხარისხის სიგელი გადასცა საქართველოს მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის. ღონისძიებას შეუერთდა ანსამბლი „რიჰო“ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერია - სპორტისა და კულტურის დარგში მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა, ლევან კიკვიძემ, ნორჩ მოჭადრაკეს, სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

გიორგის ჭადრაკის თამაში, მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქიის მღვდელმა, მამა კვირიკემ ასწავლა, რომელიც კალას სკოლის ფიზიკისა და მათემატიკის პედაგოგია. მისი ღვაწლი განსაკუთრებით დიდი და აღსანიშნავია გიორგის წარმატებულ ასპარეზობაში.

წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდა მოჭადრაკეს.

„მესტიის ეტალონი მოსწავლე“ ირაკლი ხერგიანი გახდა

6 მაისს, საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ მესტიის მუნიციპალიტეტში დისტანციური კონკურსის ფარგლებში ჩატარდა.

2022 წლის „მესტიის ეტალონი მოსწავლის" ტიტული მესტიის #2 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ, ირაკლი ხერგიანმა მოიპოვა.

ინტელექტუალური კონკურსი მესტიის მუნიციპალიტეტის მერიისა და მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მხარდაჭერით გაიმართა.

შეგახსენებთ, რომ მესტიის ეტალონი მოსწავლე ირაკლი ხერგიანი მონაწილეობას მიიღებს დასკვნით ღონისძიებაში, რომელიც ასევე დისტანციურ რეჟიმში, ივლისში გაიმართება.

ღონისძიებას პროექტის ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი გაუძღვება, მონაწილეები კი კონკურსში ვიდეოპლატფორმის საშუალებით მუნიციპალიტეტების რესურსცენტრებიდან ჩაერთვებიან.

გამარჯვებული სამეული საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული სასაჩუქრე ვაუჩერებით დაჯილდოვდება.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ირაკლის ამ დიდი გამარჯვებას და უსურვებს შემდგომ წარმატებას.

გთავაზობთ მესტიის ეროვნულ ინტელექტ ჩემპიონატის მეორე ტურის ყველაზე მაღალქულიან მონაწილეთა რეიტინგს:

- მესტიის №2 საჯარო სკოლა, VIII კლასი, ირაკლი ხერგიანი - 85 ქულა;
- მესტიის №2 საჯარო სკოლა, IX კლასი, ნინო მჭედლიანი - 82 ქულა;
- ლატალის საჯარო სკოლა, X კლასი, ვახტანგ გურჩიანი - 81 ქულა;
- იდლიანის საჯარო სკოლა, VIII კლასი, დაჩი საბანაძე - 80 ქულა;
- იდლიანის საჯარო სკოლა, VIII კლასი, ლიზი ჭკადუა - 77 ქულა;
- მესტიის №2 საჯარო სკოლა, VIII კლასი, მარიამ ხოჯელანი - 75 ქულა;
- მესტიის №2 საჯარო სკოლა, VIII კლასი, ბარბარე ნავერიანი - 75 ქულა;
- კალას საჯარო სკოლა, IX კლასი, მარიამ მარგველანი - 74 ქულა;
- მესტიის №2 საჯარო სკოლა, X კლასი, მამუკა ნიგურიანი - 71 ქულა.

„ეტალონის“ საჩუქარი სასკოლო მზაობის აღსაზრდელებს

მოგეხსენებათ, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, მაღალკვალიფიციურ პედაგოგების ჩართულობით, წარმატებით ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის პროგრამა, სადაც მშობლებს საშუალება ეძლევათ მოამზადონ შვილები სკოლის პირველი წლებისთვის.

საგანმანათლებლო პროექტმა „ეტალონი“ და მისმა ხელმძღვანელმა, გოჩა ტყეშელაშვილმა, საგანგებოდ სასკოლო მზაობის აღსაზრდელებისთვის შექმნა სახელმძღვანელო წიგნი, „პირველკლასელთა აკადემია“, რომლის დახმარებითაც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ოჯახი, ბავშვის სკოლისთვის მომზადებას თავადვე შეძლებს ეფექტურად.

სახელმძღვანელოში თამაში და სწავლა ერთმანეთთან არის შერწყმული და უკვე საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ეფექტურად გამოიყენება.

20 მაისს, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ, აღნიშნული სახელმძღვანელოები, სასკოლო მზაობის თითოეულ აღსაზრდელს საჩუქრად გადასცა.

წარმატებები და ბედნიერი საგანმანათლებლო წლები ვუსურვოთ პატარებს!

მომავალი თაობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის საგანმანათლებლო პროექტს „ეტალონი“!

ზამთრის სეზონი

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, 2022 წლის ზამთრის სეზონი, მნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო - გაიხსნა ჰაწვალი-ზურულდის თანამედროვე და გაუმჯობესებული, ახალი საბაგირო. აღსანიშნავია, რომ საბაგიროს მშენებლობა 2021 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი გახლდათ და მის მშენებლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან 7 500 000 ევრო დაიხარჯა.

ფრირაიდის მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო შეჯიბრი სვანეთში

მესტიის მუნიციპალიტეტისთვის, 2022 წლის ზამთრის სეზონი, მნიშვნელოვანი მოვლენით დაიწყო - გაიხსნა ჰაწვალი-ზურულდის თანამედროვე და გაუმჯობესებული, ახალი საბაგირო. აღსანიშნავია, რომ საბაგიროს მშენებლობა 2021 წლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი გახლდათ და მის მშენებლობაში ცენტრალური ბიუჯეტიდან 7 500 000 ევრო დაიხარჯა.

2022 წლის თებერვალში, პირველად საქართველოს ისტორიაში, სვანეთმა ფრირაიდის მსოფლიო ტურის უმაღლესი დონის საკვალიფიკაციო (FWQ) შეჯიბრს უმასპინძლა. ღონისძიების ლოკაცია გახლდათ თეთნულდის სამთო-სათხილამურო კურორტი და მისი მიმდებარე სამთო არეალი.

ღონისძიება ფრირაიდის მსოფლიო საკვალიფიკაციო ეტაპის ორ ვარსკვლავიან კატეგორიას განეკუთვნებოდა და მასში 20-მდე ქვეყნის 77 ათლეტი მონაწილეობდა. ტურნირი ჩატარდა როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში ორ დისციპლინაში: თხილამურები და სნოუბორდი. მსოფლიო სპორტსმენებთან ერთად, საკვალიფიკაციო ეტაპზე ქართველმა მოთხილამურეებმა და სნოუბორდერებმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის შვიდი სპორტსმენი, ლუკა გვარლიანი, ლუკა გოშთელიანი,

გიორგი იოსელიანი, მურმან მარგიანი, შალვა მარგიანი, ბაქარ მუშკუდიანი და ლაშა ჩართოლანი მესტიის მუნიციპალიტეტს წარმოადგენდა. შალვა მარგიანი, ჟიურის გადაწყვეტილებით, საქართველოს ისტორიაში პირველია ვინც Wild Card-ის მფლობელი გახდა და 4 ვარსკვლავიან საკვალიფიკაციო ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიიღო.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე, გაიმართა სხვადასხვა აქტივობა: მონაწილეებთან საორგანიზაციო გუნდის შეხვედრები, მესტიის ცენტრში ეკრანზე, თხილამურებისა და სნოუბორდის ფილმების და Red Bull-ის ფილმების ჩვენება, Red Bull-ის ღონსიძიებების DJ, წარმოდგენილი იყო სასმელისა და სწრაფი კვების კუთხე.

ღონისძიება ჩატარდა Freeride World Tour-ის ეგიდით და ძირითადი მხარდამჭერები და განმახორციელებლები მთის კურორტების განვითარების კომპანიასთან ერთად, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მესტიის მუნიციპალიტეტის მერია და სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია შან-ლენდი გახლდნენ. ღონისძიების ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორები: Evolution 2, French Freeride Series, CDA Management და White Rabbit.

ჭიდაობა - ძიუდო

მუნიციპალური პირველობა ძიუდოში

19 მარტს, დაბა მესტიაში, გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა ძიუდოში 2009 – 2010, 2011 - 2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ტურნირს ლერი ნაკანის სახელობის სპორტ-კომპლექსმა უმასპინძლა. შეჯიბრში მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის ყველა სპორტული ჯგუფი. საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

2009 - 2010 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის:

30 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ლუკა ხერგიანი;
II ადგილი - ნიკოლოზ შუკვანი;

34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ ჯაფარიძე;
II ადგილი - ნიკოლოზ უდესიანი;
III ადგილი - საბა კვანჭიანი;
III ადგილი - ემზარ კახბერიძე;

38 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ გვარლიანი;
II ადგილი - გიორგი გუჯეჯიანი;
III ადგილი - ლუკა ხორგუანი;
III ადგილი - არჩილ გულედანი;

42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ბესო პაკელიანი;
II ადგილი - სერგო ქოჩქიანი;
III ადგილი - გიგი არღვლიანი;
III ადგილი - დათო არღვლიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ბექა აფრასიძე;
II ადგილი - დიმიტრი ქალდანი;
III ადგილი - დათი ილდანი;
III ადგილი - ბაჩუკი სუბელიანი;

50 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა ჯაფარიძე;
II ადგილი - გიგლა აფრასიძე;
III ადგილი - გიორგი აფრასიძე;

55 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა გაბულდანი;

60 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ვანო გულბანი;
II ადგილი - ნიკოლოზ გულედანი;

+60 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ ფირცხელანი.

2011 - 2012 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის:

30 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - სანდრო ჭოხონელიძე;
II ადგილი - ნიკოლოზ გიგანი;
III ადგილი - ტატო ფილფანი;
III ადგილი - ალექსანდრე მარგიანი;

34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილუ - თომა ნიგურიანი;
II ადგილი - დათო ივეჩიანი;
III ადგილი - სანდრო ტოკლიკიშვილი;
III ადგილი - ნიკოლოზ შუკვანი;

38 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გაბრიელ გერლიანი;
II ადგილი -სანდრო ცალანი;
III ადგილი - ანდრია გვარლიანი;
III ადგილი - ანდრია არღვლიანი;

42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ნიკოლოზ გუჯეჯიანი;
II ადგილი - საბა რატიანი;
III ადგილი - ნიკოლოზ თამლიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - თეოდორე ქანცლიანი;
II ადგილი - გოგა ყიფიანი;
III ადგილი - სანდრო ხორგუანი.

ანზორ მარგველანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

26 - 27 მარტს, ქალაქ ბოლნისში ჩატარდა ანზორ მარგველანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრში მონაწილეთა შორის მესტიის მუნიციპალიტეტიდან წარმატებით იასპარეზა +60 კგ. წონით კატეგორიაში და II ადგილი დაიკავა ნიკოლოზ ფირცხელიანმა.

გიორგი ბერიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური ტურნირი

11 - 14 აპრილს, ქალაქ თბილისში, ჩატარდა გიორგი ბერიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი მეორე რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა-ძიუდოში. შეჯიბრში ასპარეზობდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა სპორტსმენები. გამარჯვებულთა შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

21 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ალექსანდრე რატიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა ლიპარტელიანი.

ილია ბაბუციძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი

15 - 16 აპრილს, ქალაქ თბილისში, ილია ბაბუციძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი ჩატარდა ჭიდაობა-ძიუდოში. მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდიდან, გამარჯვებულ სპორტსმენთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს:

36 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - სალომე მერკვილაძე;

42 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - გეგი კახბერიძე;
III ადგილი - ბესო პაკელიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა ლიპარტელიანი;
II ადგილი - თედო ქანცლიანი;

55 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - საბა ჯაფარიძე.

ბორჯომის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

30 აპრილს და 1 მაისს, გაიმართა ბორჯომის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრში მესტიის მუნიციპალიტეტის გუნდიც ასპარეზობდა. მონაწილე სპორტსმენთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს:

40 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - ნიკოლოზ გოშთელიანი;

50 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - საბა ფარჯიანი;

55 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ბექა ცინდელიანი;

90 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - გიორგი ჟორჟოლიანი.

ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში

14 - 15 მაისს, დაბა მესტიაში, ჩატარდა საქართველოს ჩემპიონის, ასევე უკრაინის თექვსმეტ გზის ჩემპიონის ძიუდოსა და სამბოში, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონის, ასევე საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ორგზის პრიზიორის, ევროპის ჩემპიონის და მსოფლიოს მესამე პრიზიორის, ლერი ნაკანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრი გაიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ სპორტული ცენტრის ორგანიზებით. სპორტული ღონისძიება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მესტიის ლერი ნაკანის სახელობის სპორტულ დარბაზში.

ტურნირში მონაწილეობდნენ ქ. თბილისის, ქ.ზუგდიდის, ქ.ფოთის, ქ. ჭიათურის, ქ. ბათუმის, ბორჯომის, ქარელის, სამაჩაბლოს, ოზურგეთის, ლენტეხის, ქობულეთის, საჩხერის, გურჯაანის, ცაგერის და მესტიის მუნიციპალიტეტების გუნდები. მესტიის მუნიციპალიტეტის გუნდის გამარჯვებულები გახდნენ:

2008 - 2009 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის:

25 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - იოანე გაბლიანი;
II ადგილი - ნიკოლოზ ნიგურიანი;
III ადგილი - გაბრიელ მიქიანი;
III ადგილი - ალექსანდრე რატიანი;

27 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ალექსანდრე მარგიანი;

34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - სანდრო ცალანი;

38 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - გიორგი წერედიანი;
III ადგილი - ანდრია გვარლიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ლევანი ქანცლიანი;
III ადგილი - დიმიტრი ქალდანი;
III ადგილი - საბა ლიპარტელიანი;

60 კგ. წონითი კაგეგორია:
I ადგილი - ვახო გულბანი;

+ 60 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - გიორგი ფალიანი.

2010- 2011 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის:

34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა გირგვლიანი;
III ადგილი - სანდრო ცალანი;

42 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ლევანი არღვლიანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - კვირიკე გირგვლიანი;

60 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - ზაზა კვანჭიანი.

შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო ორმა გოგონამ, რომელთა შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

34 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - სალომე მერკვილაძე;
II ადგილი - მარიამ კვანჭიანი.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით, თასებით და დიპლომებით. ასევე შეჯიბრის ყველაზე ტექნიკურ მონაწილეს, გიორგი წერედიანს, გადაეცა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ ხელოვნების და კულტურის ცენტრის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი, სვანური ქუდი, ხანჯალი და თასი.

რამაზ ხარშილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში

20 - 22 მაისს, ქალაქ ხაშურში, მონრეალის ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული კლასის ოსტატის რამაზ ხარშილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი მესამე რესპუბლიკური ტურნირი გაიმართა ძიუდოში. შეჯიბრებაში მესტიის ძიუდოისტთა ჯგუფი ასპარეზობდა - საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

21 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - ალექსანდრე რატიანი;

27 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ალექსანდრე მარგიანი;

38 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ანდრია გვარლიანი.

თემურ მღებრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში

27 – 29 მაისს, გურჯაანში ჩატარდა თემურ მღებრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. შეჯიბრებაში მესტიის მუნიციპალიტეტის მოჭიდავე ახალგაზრდებიც ასპარეზობდნენ. მონაწილე სპორტსმენთა შორის საპრიზო ადგილები დაიკავეს:

34 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - სანდრო ცალანი;

46 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა ლიპარტელიანი;
II ადგილი - თევდორე ქანცლიანი.

საქართველოს პირადი - პირველობა ქართულ ჭიდაობაში

15 - 17 აპრილს, ქარელში ჩატარდა საქართველოს პირადი - პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრში მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდიდან საპრიზო ადგილები დაიკავეს:

55 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - საბა ფარჯიანი;

+81 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - გიორგი ჟორჟოლიანი.

საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში

27 - 29 მაისს, სოფ. შინდისში, გაიმართა საქართველოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა შორის აბსოლიტურ წონით კატეგორიაში, II ადგილი დაიკავა, მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლმა, შოთა ჟორჟოლიამა.

კრივი

საქართველოს პირველობა კრივში

23 – 27 თებერვალს, ქალაქ ბათუმში, გაიმართა საქართველოს პირველობა კრივში. შეჯიბრში, მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტსმენმა, ბექა წერედიანმა, 86 კგ. წონით კატეგორიაში მძიმე ორთაბრძოლებში ასპარეზობის შემდეგ დაიკავა I ადგილი და მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა, შესაბამისად გახდა საქართველოს ნაკრების წევრი. ბექა მონაწილეობას მიიღებს, სამომავლოდ გასამართ ყველა მაღალი რანგის სპორტულ ღონისძიებაზე, მათ შორის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზეც.

ვულოცავთ ამ დიდ წარმატებას ბექა წერედიანს, მის მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს!

რესპუბლიკური ტურნირი კრივში

12 - 14 მარტს, ქალაქ ქუთაისში ჩატარდა მიხეილ კაპატაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კრივში. შეჯიბრში მესტიის მუნიციპალიტეტის მოკრივე ახალგაზრდებიდან საპრიზო ადგილებზე გავიდნენ:

50 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - დავით მუშკუდიანი;

57 კგ.წონითი კატეგორია:
III ადგილი - ვახტანგ გურჩიანი;

60 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - ანდრია ნავერიანი;

63 კგ. წონითი კატეგორია:
I ადგილი - საბა მჭედლიანი;

66 კგ. წონითი კატეგორია:
III ადგილი - მამუკა ნიგურიანი.

საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებით და თასებით.

საქართველოს ჩემპიონატი კრივში

5 - 10 აპრილს, ქალაქ ფოთში, ჩატარდა საქართველის ჩემპიონატი კრივში, 2006 - 2007 წლებში დაბადებულ მოკრივეთა შორის. მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის წარმომადგენელმა, დავით მუშკუდიანმა, ტურნირში წარმატებით იასპარეზა 50 კგ. წონით კატეგორიაში და მეორე ადგილი დაიკავა, რის შედეგადაც დავითი საქართველოს ნაკრების წევრი გახდა. დავით მუშკუდიანი მიიღებს მონაწილეობას კრივის ფედერაციის სასწავლო - საწვრთნელო შეკრებაზე, სადაც დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრების შემადგენლობა, ევროპისა და მსოფლიოს პირველობებისთვის.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს დავით მუშკუდიანს ამ მნიშვნელოვან შედეგს და უსურვებს მას კიდევ მრავალ წარმატებას!

საქართველოს პირველობა კრივში

3 - 8 მაისს, ქალაქ მარნეულში, ჩატარდა საქართველოს პირველობა კრივში, 2008 - 2009 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის. მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელ სპორტსმენთა შორის საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

54 კგ.წონითი კატეგორია:
II ადგილი - ჯემალ გურგულიანი;

57კგ.წონითი კატეგორია:
III ადგილი - ბაქარ ფალიანი;

60 კგ. წონითი კატეგორია:
II ადგილი - ნინო კვიციანი;

80 კგ.წონითი კატეგორია:
II ადგილი - ნიკოლოზ მარგიანი.

გამარჯვებული მოკრივეები გახდნენ საქართველოს ნაკრების წევრები.

მეკლდეურობა

ირაკლი გელდიაშვილის მემორიალი მეკლდეურობაში

12 - 15 მაისს, ქალაქ თბილისში, გაიმართა ირაკლი გელდიაშვილის მემორიალი მეკლდეურობაში. შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო მესტის მუნიციპალიტეტის მეკლდეურთა გუნდმაც.

ტურნირი ჩატარდა სწრაფ ცოცვასა და ბოლდერინგში, გოგონათა და ვაჟთა შორის, რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფში. გამარჯვებულ მეკლდეურთა შორის ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:

სწრაფი ცოცვა:
გოგონები:
უმცროსი ასაკი
I ადგილი - ელენე ხერგიანი;
II ადგილი - მარიამ მაჩიტაძე;
III ადგილი - ბარბარე ჩართოლანი;

უფროსი ასაკი
I ადგილი - მარიამ ხოჯელანი;
II ადგილი - ირინკა რატიანი;
III ადგილი - მარიამ ნაკანი;

ვაჟები:
უმცროსი ასაკი
II ადგილი - საბა ნავერიანი;
III ადგილი - საბა ნიგურიანი;

უფროსი ასაკი
I ადგილი - ბერდია მერლანი;
III ადგილი - მარიამ გიგანი;

ბოლდერინგი:
გოგონები:
უმცროსი ასაკი
I ადგილი - ელენე ხერგიანი;
II ადგილი - მარიამ მაჩიტაძე;

უფროსი ასაკი
I ადგილი - მარიამ ხოჯელანი;
II ადგილი - ირინკა რატიანი.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის სიმბოლური პრიზებით.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია ნიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com